ოქმი:**ო05. 3726184001**

თარიღი:**03/07/2026**

ოქმი N 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 2 ივლისი

ქ.ოზურგეთი

15:00 – 14:00-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ლ. მესხი, ზ. სალუქვაძე, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ე. გორდელაძე, ტ. აროშიძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბ. ჩხიკვიშვილი, მოადგილე-ს. რამიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი; გენო მორჩილაძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენიებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების დებულებების დამტკიცების შესახებ" -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი; გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, განაცხადა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტში მიზანშეწონილია რეორგანიზაციის განხორციელება, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სრულად შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს“-ის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, რომელმაც განმარტა დადგენილების მიღების მიზეზები, ისაუბრა მოსალოდნელ შედეგებზე, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო პროექტი მუხლობრივად. ყურადღება ძირითადად გაამახვილა შეტანილ ცვლილებებზე. დადგენილების პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშილმა დასვა შეკითხვა-სამსახურებში ფუნქციათა დუბლირებისა და სოციალურ სამსახურში შტატების შემცირების , თაობაზე, თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ განმარტა, რომ ფუნქციური გადაფარვები იყო სივრცით-ტერიტორიულ და არქიტექტურის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილებების ფუნქციებში, რაც შეეხება სოციალურ სამსახურს, შტატები შემცირდა, მაგრამ გაძლიერდა სამართლებრივი მომსახურების კუთხით. სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ სოციალურ სამსახურში შტატების შემცირება ხდება მაშინ, როცა ამავე სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დამატებით არიან დასაქმებული ადამიანები, რადგანაც არსებული შტატები, მოქალაქეთა გაზრდილი მომართვიანობის გამო, ვერ უზრუნველყოფდნენ წერილებზე დროულ რეაგირებას, აქედან გმომდინარე აღნიშნულ სამსახურში შტატების შემცირება გაუმართლებელია.

კომისიის წევრმა გ. კილაძემ დასვა შეკითხვა,-საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შტატის დამატება? თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ განაცხადა, რომ კანონით არაა განსაზღვრული მერის წარმომადგენლის თანაშემწის რაოდენობა.

კომისიის წევრ ე. გორდელაძის აზრით მუნიციპალიტეტში პრობლემებია როგორც ინფრასტრუტურაში, ასევე სოცილურ სფეროშიც, ამიტომ ამ სამსახურებში შტატების შემცირება ნაჩქარევი და არაგამართლებული იქნება, მით უფრო როცა ბიუჯეტი საშუალებას იძლევა, რაც შეეხება მერიისა და სამსახურების დებულებებს, ისინი აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ უპასუხა, რომ საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით აიყვანენ მოსამსახურეს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა სპეციალისტმა სამართლებრივი მომსახურების საკითხებში ე. ჯაფარიძემ გამოთქვა აზრი, რომ იერარქიული რანგირების კუთხით არსებულ კანონმდებლობაში მოსალოდნელ შესაძლო დარღვევებზე, განუმარტეს, რომ რეკომენდაცია მიღებული აქვთ შესაბამისი ორგანოდან და პრობლემა არ იქნება.

გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნ. ასათიანმა განაცხადა, მერიას გათვალისწინებული აქვს თუ არა რეორგანიზაციის გამო გამოთავისუფლებული ადამიანების დასაქმება? განუმარტეს, რომ ეს საკითხი მუნიციპალიტეტის მერის კომპეტენციაა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის წინადადებას -პროექტი წარედგინოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო ის ცვლილებები, როლებიც შეტანილი იქნება დადგენილების სხვადასხვა მუხლებში. დადგენილების პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას - დადგენილების პროექტი, პრობლემის აქტიურობიდან გამომდინარე, წარედგინოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა მოკლედ ისაუბრა მერიის სამსახურების დებულებებზე, ვრცლად თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სამსახურების დებულებებში ცვლილებები ძირითადად განპირობებულია მერიის სტრუქტურული ცვლილებებით, შემდეგ ისაუბრა კონკრეტული სამსახურების დებულებებში შეტანილ ცვლილებებზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება-დადგენილებების პროექტები წარედგინოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

საკთხების განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას შეასრულებს კომისიის წევრი გ. მდინარაძე.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი